



თბილისის ღია სასწავლო
უნივერსიტეტი

ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები

(დამტკიცებულია აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის 2018 წლის 22 იანვრის #77
დადგენილებით)

შინაარსი

ზოგადი დებულებები.....3

ძირითადი პრინციპები..... 4

უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ქცევის წესები და ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები.....5

დისციპლინური წარმოება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები..... 7

დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველები.....7

დისციპლინური წარმოების ვადები.....7

დისციპლინური სახდელის სახეები.....8

დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოები და მათი უფლებამოსილებანი.....8

დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი 9

განცხადება/საჩივრის განხილვა და წარმოებაში მიღება 9

დისციპლინური წარმოების შეჩერება და გადადება..... 10

განცხადების/საჩივრის განხილვის წესი..... 10

დისციპლინური დამრღვევის მონაწილეობა საქმის განხილვაში.....11

დისციპლინური სახდელების დაკისრება11

დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილება11

შეტყობინება დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ12

დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება12

დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულება.....12

სახდელის მოქმედების ვადები12

წახალისება12

ეთიკის კომიტეტი13

პლაგიატის აღმოფხვრის მექანიზმები14

დასკვნითი დებულებანი.....16

თავი I

1. ზოგადი დებულებები

1.1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის ვალდებულებებს სახელმწიფოსა და საზოგადოებრიობის წინაშე და უზრუნველყოფს საკუთარი პერსონალის წარმომადგენელთა და სტუდენტთა ქცევის წესებისა და ეთიკური ნორმების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას და განვითარებას.

1.2. უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან უნივერსიტეტის „ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“ (შემდგომში „კოდექსი“), რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების ეფექტურად განხორციელებას, საზოგადოების წინაშე მაღალი ნდობისა და ავტორიტეტის მოპოვებას და პრესტიჟის შემდგომ ამაღლებას.

1.3. კოდექსის მიზანია, დაარეგულიროს სუნივერსიტეტო ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილი ეთიკური პრობლემები, მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა აქტებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური წარმოებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. განსაზღვროს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების საქმიანობის ძირითადი პრინციპები, ქცევის წესები და ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები, წახალისების საფუძვლები და სახეები.

1.4. კოდექსის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის სტუდენტებზე და პერსონალზე.

1.5. კოდექსის ხელმისაწვდომობა პერსონალისა და სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით, სადაც ატვირთულია კოდექსის სრული ტექსტი. პერსონალის ცალკეული წარმომადგენლებისათვის, რომელთაც არ აქვთ დაშვება სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, კოდექსის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია შრომითი ხელშეკრულების გაფორმების დროს მათთვის კოდექსის მოთხოვნების გაცნობით.

1.6. უსდ-ს თითოეული წევრი ითვალისწინებს ადამიანის ძირითად უფლებებს და იცის, რომ:

- ადამიანის კაცი და ღირსება ხელშეუვალია;
- ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;
- ყველას აქვს თვითგამოხატვის უფლება;
- ყველას აქვს უფლება გამოიყენოს დანიშნულებისამებრ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

- ყველას აქვს უფლება, დაცული იყოს მისი ინტელექტუალური შრომისა და საავტორო უფლებები;
- ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება;
- ყველას აქვს უნივერსიტეტში საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება;
- ყველას აქვს უნივერსიტეტში ფარგლებში მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად თანასწორი სამართლებრივი მდგომარეობის მოთხოვნა.

თავი II

2. ძირითადი პრინციპები

2.1. საუნივერსიტეტო ცხოვრების ძირითადი პრინციპებია:

- სამართლიანი და თანასწორი მოპყრობა, განურჩევლად პირის ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვ.
- სტუდენტთა შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- სასწავლო პროცესის გამჭვირვალობა;
- ინფორმაციის საჯაროობა;
- პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა;
- დისციპლინა;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება;
- პასუხისმგებლობა;
- აკადემიური კეთილსინდისიერება;
- აკადემიური თავისუფლება.

2.1.1. აკადემიური თავისუფლება არის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა.

2.1.2. კვლევის თავისუფლება მოიცავს კვლევის საკითხების, მეთოდოლოგიური მიდგომების და კვლევის შედეგების შეფასების და გავრცელების თავისუფლებას.

სწავლების თავისუფლება მოიცავს განსახორციელებელი სწავლების, განსაკუთრებით სასწავლო გეგმის, სალექციო კურსის, მათი შინაარსობრივი და მეთოდური დაგეგმარების და ჩამოყალიბების თავისუფლებას, აკადემიური თუ შემოქმედებითი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას.

სწავლის თავისუფლება მოიცავს სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ამორჩევის თავისუფლებას, უფლებას თვითონ განსაზღვროს არჩეული სასწავლო საგნის ძირითადი მიმართულებები და სპეციალიზირება. ასევე იცავს მეცნიერული და შემოქმედებითი საკითხების თავისუფლად გამოხატვის და დამუშავების უფლებას.

2.1.3. აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- ა) სამეცნიერო კვლევის თავისუფლებისათვის – საორგანიზაციო საკითხებსა განსაზღვრაში;
- ბ) სწავლების თავისუფლებისათვის – სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში- ლექციების ცხრილისა დამტკიცების საკითხებში;

გ) სწავლის თავისუფლებისათვის – სასწავლო პროცესის ორგანიზებას საკითხებში

2.1.4. უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პერსონალი და სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან კარგი მეცნიერული პრაქტიკა. იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერულ კონტექსტში წინასწარი განზრახვით თუ გადაცდომით მცდარი მონაცემები იქნება მოყვანილი, ან მესამე პირის კვლევითი მოღვაწეობა ან ინტელექტუალური საკუთრება იქნება ხელყოფილი, სახეზე იქნება „კარგი მეცნიერული პრაქტიკის“ რადღვევა, რაც ექვემდებარება რეაგირებას ეთიკის კომიტეტის მხრიდან.

2.2. უნივერსიტეტის პერსონალი, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, თავის საქმიანობას უნდა წარმართავდეს კეთილსინდისიერების, პატიოსნებისა და ეთიკის მაღალი სტანდარტების შესაბამისად. მისი ვალდებულებაა, სრულად და ხარისხიანად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები; სამართლიანად და პატივისცემით მოეპყროს კოლეგებს, სტუდენტებს, ხელი შეუწყოს მათ საქმიანობასა და პროფესიული განვითარების საქმეში, არ დაუშვას კოლეგისა და სტუდენტის არასამართლიანი პიროვნული კრიტიკა, შეურაცხყოფა, დამცირება, ცილისწამება ან ანონიმურად დადანაშაულება.

2.2.1. დაუშვებელია თანამდებობრივი მდგომარეობისა და საკუთარი ავტორიტეტის პირადი გამორჩენის მიზნით გამოყენება, კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათების და დათმობების მოთხოვნა, რაც მათ კოლეგებსა თუ სტუდენტებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს;

2.2.2. პერსონალის წარმომადგენლებმა თავი უნდა შეიკავონ უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი საუნივერსიტეტო მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას.

თავი III.

3. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ქცევის წესები და ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები

3.1. აკადემიური, მოწვეული პერსონალი და მასწავლებელი ვალდებულია სისტემატურად იღწვოდეს პედაგოგიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად. ამასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეკისრება მოვალეობა აქტიური მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის საზოგადოებრივ, თუ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნიდან გამომდინარე ისინი ვალდებული არიან:

- სასწავლო პროცესი წარმართონ უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) მიხედვით;
- დარგის ან მეცნიერების შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და პროგრესის კვალდაკვალ, პერიოდულად განაახლონ სასწავლო კურსის თემატიკა და სრულყოფონ მისი წარმართვის მეთოდოლოგია;
- ლექციაზე, პრაქტიკულ მეცადინეობაზე/სამუშაო ჯგუფში შევიდნენ დროულად, ჯეროვან დონეზე მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული. არ დაუშვან ლექციის, პრაქტიკული მეცადინეობის დროზე ადრე დამთავრება ან გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე;

- სამართლიანად და ობიექტურად შეაფასონ ყველა სტუდენტის ცოდნა;
- ხელი შეუწყონ გამჭვირვალე აკადემიური გარემოს ფორმირებას; შეიმუშაონ და დანერგონ სწავლებისა და შეფასების ისეთ მეთოდები, რაც განაპირობებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს;
- სტუდენტებს მიაწოდონ ამომწურავი ინფორმაცია სილაბუსის შინაარსის, სწავლა/სწავლების მეთოდების და შეფასების სისტემის შესახებ;
- გამორიცხონ შეფასებაზე ზემოქმედების ფავორიტიზმის, პროტექციონიზმის, სხვა მსგავსი ფაქტორებით სტუდენტთა დისკრიმინაცია;
- უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოადგინოს საგამოცდო საკითხები;
- დროულად შეიტანონ ელექტრონულ პროგრამაში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად შეფასების ქულები;
- აწარმოონ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა კონსულტაციის ფორმატში;

3.2. ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის მოვალეობაა უნივერსიტეტში შექმნას სასწავლო სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო. ამ მიზნით ისინი ვალდებული არიან:

- დაემორჩილონ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და მოქმედ კანონმდებლობას;
- ეფექტურად გამოიყენონ უნივერსიტეტის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები;
- არ გაამჟღავნონ პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა.

3.3. სტუდენტის მოვალეობაა, პატივი სცეს უნივერსიტეტს, სადაც იგი ცოდნას ეუფლება. ისწავლოს, მონაწილეობა მიიღოს ჩატარებულ კვლევებში, დაიცვას ეთიკის კოდექსი და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა რეგულაციების მოთხოვნები, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ავტორიტეტის ამაღლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე იგი ვალდებულია:

- პატივი სცეს უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენლებსა და სხვა სტუდენტებს არ მიაყენოს შეურაცხყოფა და არ განახორციელოს მათ მიმართ სხვა ძალადობრივი აქტები;
- უნივერსიტეტში იკრძალება ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის შეტანა და მოხმარება. აკრძალულია აზარტული თამაშები, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არამართზომიერი ქმედება
- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მოწვევა დაშვებულია ისეთ ადგილზე სადაც ეს მითითებულია
- პირადი სარგებლის სანაცვლოდ, პერსონალის წარმომადგენლებს არ შესთავაზოს ან მოსთხოვოს რაიმე სახის სარგებელი;
- არ ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე. კერძოდ:
 - გადაიწეროს სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოიყენოს სხვა სახის დამხმარე მასალა, რომელიც პროფესორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;
 - სხვა სტუდენტის ნაცვლად ჩააბაროს გამოცდა ან სთხოვოს სხვა პირს მის მაგივრად გამოცდის ჩაბარება;

- სხვა პირის ნამუშევარი წარმოაჩინოს როგორც საკუთარი;
- შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე მოახდინოს სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირება;
- გააყალბოს თავისი საუნივერსიტეტო მონაცემები;
- მოიპოვოს და გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია გამოცდის შესახებ;
- მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლოს, გაანადგუროს ან შეცვალოს სხვა სტუდენტის ნამუშევარი;
- ხელი შეუშალოს სხვა სტუდენტებს სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსებით სარგებლობას დამალვით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლებით ან განადგურებით;
- ხელი შეუწყოს სხვა სტუდენტს აკადემიურ სიყალბეში;
- ართსაწინააღმდეგოდ გამოიყენოს ან გააყალბოს კვლევითი სამუშაოების ფაქტობრივი ინფორმაცია.

თავი IV.

4. დისციპლინური წარმოება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები

დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები განსაზღვრავს პერსონალისა და სტუდენტების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელის სახეებს, დისციპლინური დევნის დაწყების, დისციპლინური წარმოების განხორციელებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს.

5. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები

დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია:

- მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;
- უნივერსიტეტის დებულებით, შინაგანაწესით და სხვა აქტებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;
- ეთიკის კოდექსის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევა;
- ნებისმიერი საქციელი, რომელიც შეიძლება ფორმალურად არ შეიცავს ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებს, მაგრამ იგი ეწინააღმდეგება ეთიკურ -ზნეობრივ ნორმებს და სხვა დადგენილ მოთხოვნებს.

6. დისციპლინური წარმოების ვადები

6.1. პირს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური დარღვევის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია ორი (2) წელი, ხოლო დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – სამი (3) თვე.

6.2. საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის ვადაა განცხადების/საჩივრის მიღებიდან ერთი (1თვე), ხოლო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისა კი - დისციპლინური დევნის აღძვრიდან ეთი (1) თვე.

6.3. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საქმის განხილვა შეჩერებული ან გადადებულია, არ ჩაითვლება დებულებით განსაზღვრულ საქმის წარმოების საერთო ვადაში.

7. დისციპლინური სახდელის სახეები

7.1. პერსონალის წარმომადგენლებისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

- * შენიშვნა;
- * საყვედური;
- * მკაცრი საყვედური;
- * სამსახურიდან დათხოვნა.
- * ერთჯერადად შრომის თვიური ანაზღაურების 20 % -ის დაკავება.

7.2. სტუდენტებისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

- * შენიშვნა;
- * საყვედური;
- * მკაცრი საყვედური;
- * სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

8. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოები და მათი უფლებამოსილებანი

8.1. უნივერსიტეტში ეთიკის კოდექსის შესრულება და დისციპლინის მონიტორინგი, ასევე დისციპლინური წარმოება ხორციელდება დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოს (შემდგომში „დისციპლინური საბჭო“) და სათანადო უფლებამოსილების მქონე უნივერსიტეტის სხვა სამსახურების მიერ.

8.2. დისციპლინური საბჭო არის უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებიდან – სკოლებიდან, ასევე უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელი/საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა საბჭოს პირველ სხდომაზე, წევრთა უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით, 1 წლის ვადით. დისციპლინური საბჭოს შემადგენლობა ექვემდებარება განახლებას ყოველ სამ წელიწადში ერთხელ რექტორის ბრძანებით.

8.3. დისციპლინურ საბჭოს უფლებამოსილებებია:

- მიიღოს და შეისწავლოს შემოსული ინფორმაცია (განცხადება/საჩივარი);
- შეამოწმოს დისციპლინური დევნის აღძვრისათვის ამ დებულებით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები;
- განსაზღვროს, უნდა აღიძრას თუ არა დისციპლინური დევნა. ამისათვის დისციპლინურმა ორგანომ უნდა ჩამოართვას ახსნა-განმარტებები განცხადების/საჩივრის ავტორს და პირს, რომლის წინააღმდეგაც შემოსულია საჩივარი. დისციპლინურ ორგანოს შეუძლია გაესაუბროს მხარეს და მოითხოვოს ინფორმაციის დაზუსტება, დოკუმენტების და შესაბამისი მასალების წარდგენა. მან უნდა გაითვალისწინოს შემოსული შუამდგომლობები და დამატებითი ახსნა-განმარტებები. ინფორმაციის ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში, ის გახდება დისციპლინური დევნის განხორციელების საფუძველი;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური დევნის) არააღძვრის შემთხვევაში, განცხადების/საჩივრის ავტორს გადასცეს დასაბუთებული გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ;

- განახორციელოს დისციპლინური დევნა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
- დისციპლინური დამრღვევისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში გადაწყვეტილება აღსრულებისათვის წარუდგინოს უნივერსიტეტის შესაბამის ორგანოს.

9. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი

დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის, მმართველობითი საბჭოს, სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა დეპარტამენტის, აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის, უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის, დეკანის, სკოლის საბჭოს, სტუდენტური თვითმმართველობის, უნივერსიტეტის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა სამსახურის, პერსონალის, სტუდენტის, აგრეთვე იმ პირის მოტივირებული განცხადების/საჩივრის საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია, რომ პერსონალის ან სტუდენტის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები.

10. განცხადება/საჩივრის განხილვა და წარმოებაში მიღება

10.1. დისციპლინურმა საბჭომ საჩივრის ან განცხადების მიღებიდან ერთი (1) თვის განმავლობაში, უნდა შეისწავლოს საქმის მასალები, მიიღოს გადაწყვეტილება, არსებობს თუ არა დისციპლინური დევნის აღძვრის საკმარისი საფუძველი და გამოიტანოს გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის, ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ.

10.2. არ უნდა აღიძვრას დისციპლინური დევნა, ან უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება თუ:

- საჩივარი/განცხადება არ აკმაყოფილებს დასაშვებობის პირობებს;
- საჩივარი/განცხადება ინფორმაციის სისწორის შემთხვევაშიც კი არ იძლევა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს;
- ვადები დისციპლინური დევნის ან დისციპლინური სახდელის დაწესებისათვის ამოიწურა;
- მოკვლეული მასალები არ იძლევა საფუძველს დისციპლინური დევნის აღძვრისათვის;
- შემოწმებული მასალები მიუთითებს, რომ პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული;
- განცხადება/საჩივარი შემოსულია პირზე, რომელიც ამჟამად აღარ არის უნივერსიტეტის პერსონალი ან სტუდენტი.

10.3. თუ საჩივრის/განცხადების ავტორი უარს იტყვის საჩივარზე, დისციპლინური საბჭო უფლებამოსილია შეწყვიტოს ან გააგრძელოს დისციპლინური დევნა.

10.4. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში საბჭო გადასცემს განცხადების/საჩივრის ავტორს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ.

11. დისციპლინური წარმოების შეჩერება და გადადება

11.1. დისციპლინური წარმოების შეჩერება შესაძლებელია, თუ საქმის შესწავლის დროს მოპოვებული მასალა ცხადყოფს, რომ პირს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის დანაშაული. ასეთ შემთხვევაში, საქმე უნდა წარიმართოს სათანადო კომპეტენციის მქონე ორგანოში.

11.2. დისციპლინური წარმოების გადადება შესაძლებელია, თუ განცხადების/საჩივრის შესწავლის პერიოდში წარმოიშვა ობიექტური სირთულეები ან დაბრკოლებები (პირის ავადმყოფობა ან სხვა შემთხვევები), რაც შეუძლებელს ხდის საქმის წარმოების გაგრძელებას.

11.3. დისციპლინური დევნის შეჩერების ან გადადების მიზეზის აღმოფხვრის მომენტიდან საქმის განხილვა განახლდება.

12. განცხადების/საჩივრის განხილვის წესი

12.1. დისციპლინურმა საბჭომ განცხადება/საჩივარი უნდა განიხილოს სამართლიანად და მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

12.2. დისციპლინური ორგანოს სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოების მსველობაში მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური. სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნას საჯარო სხდომაზე.

12.3. დისციპლინური საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე ან მისი რომელიმე წევრი, რომელიც აირჩევა დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით.

საჭიროების შემთხვევაში, სხდომაში მონაწილეობის მისაღებად დისციპლინურმა საბჭომ უნდა მოიწვიოს მოწმეები და სხვა პირები, რომელთაც უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი.

12.4. დისციპლინური საბჭო ვალდებულია მოისმინოს დისციპლინური დამრღვევის ახსნა-განმარტება, რომელსაც უფლება აქვს დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობა მიიღოს როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. მხარეებს აქვთ უფლება სრულად წარმოადგინონ საკუთარი პოზიცია, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, წარმოადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებანი, აღძრან შუამდგომლობები დამატებითი მასალების, დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, აგრეთვე, საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით, მოითხოვონ სხვა პირების გამოცხადება და ამ მუხლით გაუთვალისწინებელი სხვა მოქმედებების განხორციელება.

12.5. დისციპლინურ საბჭოს უფლება აქვს, გამოკითხოს მხარეები და სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირები, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მასალები და ინფორმაცია, გამოიძახოს მოწმეები და განახარციელოს სხვა ქმედებები.

12.6. დისციპლინური საბჭოს სხდომაზე სხდომის მდივანი (რომელიც ირჩევა პირველ სადომაზე დამსწრეთა უმრავლესობით) ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

12.7. პირის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას დისციპლინური საბჭო იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის გადაწყვეტილებას.

13. დისციპლინური დამრღვევის მონაწილეობა საქმის განხილვაში

13.1. დისციპლინურმა ორგანომ შეიძლება მოითხოვოს დისციპლინური დამრღვევის განხილვაზე დასწრება.

13.2. თუ პირი არ ცხადდება განხილვაზე, სხდომა უნდა გადაიდოს 10 დღით. თუ პირი მეორედ არ ცხადდება განხილვაზე არასაპატიო მიზეზით, დისციპლინური ორგანო უფლებამოსილია, განიხილოს საქმე დისციპლინური დამრღვევის დასწრების გარეშე; აგრეთვე, სათანადო საფუძველის არსებობის შემთხვევაში, გამოიტანოს გადაწყვეტილება და დააკისროს დისციპლინური სახდელი.

13.3. თუ პირი ვერ ცხადდება დისციპლინური საბჭოს სხდომაზე მძიმე ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით, დისციპლინურმა ორგანომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა.

13.4. საქმის განხილვის შეჩერების მიზეზის ამოწურვის შემდეგ, დისციპლინური საბჭო განაახლებს საქმის განხილვას. საქმის განხილვის განახლების შემდეგ დამრღვევის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას.

14. დისციპლინური სახდელების დაკისრება

14.1. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას დისციპლინური საბჭო ვალდებულია გაითვალისწინოს დარღვევის (დარღვევების) სიმძიმე და ხარისხი, მიყენებული (ან შესაძლო) ზიანი. ასევე დარღვევის განმეორებითი ხასიათი. პირის პასუხისმგებლობა იზრდება დისციპლინური გადაცდომის სიმძიმისა და ხარისხის პროპორციულად, ან ნორმების განმეორებითი დარღვევისას; თუ დადასტურდა პირის მიერ დისციპლინური დარღვევა და მას ადრე დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, დისციპლინურ ორგანოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ.

14.2. დაუშვებელია სახდელის დაკისრება დარღვევისათვის, რომელზეც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება.

14.3. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამისი წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

15. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

- დისციპლინური ორგანოს დასახელებას;
- დისციპლინური ორგანოს შემადგენლობას;
- აქმის განხილვის თარიღს;
- დისციპლინური დამრღვევის სახელს, გვარს და სტატუსს; ;
- დისციპლინური დევნის დაწყების და დისციპლინური სახდელის დაკისრების თარიღს;
- დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებს;
- დისციპლინური დარღვევის არსსა და დისციპლინური დამრღვევის შეპასუხებას;

გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს;

- დისციპლინური დარღვევის სახესა და დაკისრებული დისციპლინური სახდელის სახეს;
- დისციპლინური წარმოების შეწყვეტის, საჩივრის/განცხადების უარყოფის, ან დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველს.

16. შეტყობინება დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ

16.1. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება დისციპლინურ დამრღვევს გადაწყვეტილების გამოტანიდან ხუთი (5 სამუშაო დღე) დღის განმავლობაში.

16.2. გადაწყვეტილების ასლი უნდა დაერთოს დისციპლინური დამრღვევის პირად საქმეს.

17. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება.

დისციპლინური დამრღვევი უფლებამოსილია გაასაჩივროს დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში.

18. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულება

18.1. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებები ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლისთანავე, ან გასაჩივრების შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე.

18.2. უნივერსიტეტის რექტორი, ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია აღასრულოს გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლიდან ერთი (1) თვის ვადაში.

18.3. აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულება ხდება რექტორის ბრძანებით.

18.4. სტუდენტის მიმართ დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულება ხდება სკოლის დეკანის მიერ, ხოლო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით - ამ უკანასკნელის წარდგინებით და რექტორის ბრძანებით.

19. სახდელის მოქმედების ვადები

19.1. სახდელები: შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური, მოქმედებს მხოლოდ გარკვეული ვადით, რომლის ამოწურვამდეც დისციპლინური დამრღვევი ითვლება დისციპლინურ სახდელშეფარდებულად.

19.2. თუ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში პირი არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას შენიშვნა ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან: შენიშვნა - სამი (3) თვის შემდეგ, საყვედური - ექვსი (6) თვის შემდეგ, მკაცრი საყვედური - ერთი (1) წლის შემდეგ.

თავი V

20. წახალისება

20.1. უნივერსიტეტის თანამშრომელთა წახალისება ხდება მოვალეობის კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ შესრულებისათვის, უნივერსიტეტისთვის სასარგებლო სხვა აქტივობების განხორციელებისათვის, უნივერსიტეტში ხანგრძლივი და სამაგალითო მუშაობისათვის.

20.2. წახალისების სახეებია:

- მაღლობის გამოცხადება;
- ფულადი პრემიის გაცემა;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება.

20.3. უნივერსიტეტის რექტორი/მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად წყვეტს წახალისების ზომების გამოყენების საკითხს თანამშრომელთა მუშაობის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, რაზეც გამოიცემა შესაბამისი ბრძანება და უზრუნველყოფილი იქნება მისი საჯაროობა.

20.4. წახალისებას ექვემდებარება წინამდებარე კოდექსის მოთხოვნების დაცვა სტუდენტების მიერ. წახალისების სახეობა მაღლობის გამოცხადება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება. უნივერსიტეტის რექტორი/მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად წყვეტს წახალისების ზომების გამოყენების საკითხს შესაბამისი სკოლის წარდგინების საფუძველზე.

თავი VI

21. ეთიკის კომიტეტი

21.1. უნივერსიტეტში, კვლევის ეთიკურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის გატარების მიზნით იქმნება ეთიკის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“), რომელიც შედგება უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლებისაგან.

21.2. კომიტეტი იქმნება რექტორის ბრძანებით სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი კომიტეტის წევრობის კანდიდატებს შეარჩევს სკოლების დეკანებთან კონსულტაციის შედეგად და შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრების შემდგომ გადაცემს კომიტეტის მომავალი წევრების სიას დასამტკიცებლად რექტორს.

21.3. კომისიის წევრობის კანდიდატთა შერჩევასას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები: დოქტორის აკადემიური (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო) ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის არანაკლებ შვიდი (7) წლის გამოცდილება და ავტორიტეტულ გამოცემებში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი (5) სამეცნიერო ნაშრომის (მ.შ. თანაავტორობით) არსებობა.

21.4. კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 7/9 წევრით. კომიტეტში წარმოდგენილი უნდა იყოს უნივერსიტეტში არსებული თითოეული სკოლის პერსონალი. კომიტეტი გადაწყვეტილებას ღებულობს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.

21.5. კომიტეტის მუშაობას და სხდომებს ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა კომიტეტის პირველ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით 3 წლის ვადით. კომიტეტის პირველ სხდომაზე აირჩევა დამსწრეთა უმრავლესობით 5 წლის ვადით კომიტეტის მდივანი, რომელიც ახორციელებს კომიტეტის მუშაობის და სხდომების ორგანიზაციულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას.

22. ეთიკის კომიტეტის უფლებამოსილებები

ეთიკის კომიტეტის პრეროგატივაა:

- ეთიკურ პრინციპებთან (როგორც პროცედურის (მაგ. ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტის განხილვა), ისე შინაარსის (მაგ. კვლევის რაციონალურობის შეფასება) თვალსაზრისით) კვლევის შესაბამისობის დადგენა;
- კვლევის დამტკიცება/აღიარება;
- კვლევაში ჩართული პირების დაცვა კვლევითი ეთიკის პრინციპებისა გათვალისწინებით;
- პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;
- უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევების პროგრესის მონიტორინგი და პერიოდული (წლიური) განხილვა;
- მიმდინარე კვლევაში შესული ნებისმიერ ცვლილების შესწავლა და დამტკიცება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგიის შემუშავება სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად;
- უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული კვლევების პუბლიკაციის ხელშეწყობა და მისი შედეგების გავრცელება როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
- სამეცნიერო კონფერენციებზე წარსადგენი მასალის, უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში დასაბეჭდი სტატიების, საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების, სტუდენტური კონფერენციების მასალების განხილვა და აღიარება;
- უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული კვლევების საათებში გაზომვა;
- ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა რეგულაციებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.

23. პლაგიატის აღმოფხვრის მექანიზმები

23.1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი სასწავლო და კვლევით საქმიანობას აფუძნებს კვლევის ეთიკურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპზე. დაუშვებელია, სხვისი თეორიის, იდეის, აუდიო და ვიდეო მასალის და ა.შ. გამოყენება სათანადო წესით დამოწმებისა და ციტირების წესების უგულვებელყოფით გამოყენება. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი პლაგიატად განიხილავს ყველა იმ შემთხვევას, სადაც ავტორები, გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად, ახდენენ სხვათა ნააზრევის საკუთარ შრომებში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით დამოწმების გარეშე მოტანას.

23.2. პლაგიატის სახეებია:

ა. სიტყვასიტყვითი (სრული) პლაგიატი, როდესაც ბეჭდური ან/და ინტერნეტ წყაროებიდან ციტატები, მოსაზრებები, კონცეფციები ან ტექსტის ესა თუ ის ნაწილი ამოღებულია და საკუთარ ტექსტში უცვლელად არის ჩასმული წყაროს მითითების გარეშე; რაც ართულებს გაგებას, რა არის კონკრეტულად თქვენი ნააზრევი ტექსტში და როდის იმოწმებთ სხვის მოსაზრებას საკუთარი არგუმენტის გასამყარებლად ან მსჯელობის ასაგებად;

ბ. პლაგიატია, ასევე, როდესაც სურათების, აუდიო/ვიდეო ან სხვა ვიზუალური მასალის, ასევე, გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამების გამოიყენება საკუთარ ნაშრომში წყაროს მითითების გარეშე; ან არასწორად ან არასრულად არის დამოწმებული სქოლიოსა და ბიბლიოგრაფიაში;

გ. პლაგიატია, ასევე, არასწორი ციტირების/პარაფრაზირების რეზიუმირების შემთხვევებიც, როდესაც არ არის სათანადოდ, წესების დაცვით მითითებული წყარო სქოლიოსა და ბიბლიოგრაფიაში;

დ. უნივერსიტეტი პლაგიატად განიხილავს შემთხვევებს, როდესაც უცხოენოვანი წყაროდან ტექსტის ან ტექსტის ნაწილები თარგმნილია, უცვლელად ან/და უმნიშვნელო ცვლილებებით არის გადმოტანილი საკუთარ ნაშრომში და არ არის მითითებული შესაბამისი წესით დამოწმებული წყარო, რაც გახლავთ ე. წ. თარგმნითი პლაგიატი;

ე. პლაგიატია შემთხვევები, როდესაც პროფესიული მედია ან სხვა ტიპის სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობა ხდება იმ უშუალო პირის თანხმობის გარეშე, ვის მიერაც არის მოპოვებული/დაწერილი ეს ინფორმაცია;

ე. პლაგიატად მიიჩნევა, ასევე, შემთხვევები, როდესაც სხვისი ნაშრომის სტრუქტურა (მთლიანი ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი), უცვლელად არის გადმოტანილი საკუთარ ნაშრომში) ე. წ. სტრუქტურის პლაგიატი;

ვ. პლაგიატია შემთხვევა, როდესაც საკუთარი მოსაზრებების განმეორება ხდება ავტორის მიერვე შესრულებულ სხვადასხვა ნაშრომში წყაროს მითითების გარეშე ე. წ. ავტოპლაგიატი;

ზ. უნივერსიტეტი პლაგიატად მიიჩნევს, ასევე, არაკეთილსინდისიერი კოლაბორაციის შემთხვევებს, როდესაც ჯგუფურად შესრულებულ ნაშრომში მომუშავე ჯგუფის წევრების მიერ გაწეული სამუშაო არ არის სათანადოდ აღნიშნული ნაშრომში, ასევე არ არის მოხსენიებული და აღიარებული ყველა ის დახმარება (კონსულტაცია რეკომენდაცია რჩევა და ა. შ), რომელმაც ხელი შეუწყო მუშაობას.

23.3. პლაგიატისგან თავის დაცვის საუკეთესო გზაა კარგი აკადემიური წერის უნარ-ჩვევების გამომუშავება და გამოყენებული წყაროების დამოწმების წესების (იხ. დანართი 1) ცოდნა. პლაგიატის პრევენციისთვის მიზნით, უნივერსიტეტი სარგებლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ აკადემიური სტილით, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ჩიკაგოს ციტირების სტილს.

23.4. სტუდენტებისა და აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის ცნობიერების ამაღლების და პლაგიატის პრევენციის, ასევე პლაგიატის გამოვლენის და პლაგიატზე რეაგირების მიზნით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები:

- სასწავლო პროგრამების სილაბუსებში ჩადებულია შესაბამისი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სწავლების პროცესში სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას - სხვათა ინტელექტუალური შრომის პატივისცემას და მათი ნააზრების ან სხვა შემოქმედებითი და კვლევითი პროდუქტის საკუთარ კვლევებში ადეკვატური წესით დამოწმების საჭიროებას;

- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე ისწავლება შესაბამისი ზოგადსაუნივერსიტეტო კურსები („წერითი და ზეპირი კომუნიკაცია“, „აკადემიური წერა“), რომლის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ პლაგიატისგან თავის არიდების გზებს, ბიბლიოგრაფიული მონაცემებისა და წყარების შესაბამისი სტილით დამოწმების (ციტირება, რეზიუმირება და პარაფრაზირება) წესებს;

- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური ნაშრომების (რეფერატები, საბაკალავრო და სამაგისტრო) გაფორმების ერთიანი უნიფიცირებული წესები. აღნიშნული წესები განთავსებულია ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის;

- სტუდენტებისა და აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალისათვის ტარდება ტრენინგები, სემინარები, საჯარო ლექციები პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე;

- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს „ციტირების ტექნიკა და ნაშრომის ორიგინალობა“;
- ქართულენოვანი სამეცნიერო მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სხვა ტიპის კვლევები იგზავნება ანონიმურ რეცენზირებაზე, ხოლო უცხოენოვან კვლევებთან, მიმართებაში, გარდა ამ მექანიზმისა, გამოიყენება შესაბამისი პროგრამული სისტემა .
- ეთიკის კომიტეტი განახორციელებს უნივერსიტეტის ფარგლებში და სახელით შექმნილი ნაშრომების პლაგიატზე შემოწმებას.

23.3. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის ან პერსონალის შრომებში გამოვლინდა პლაგიატი, ეთიკის კომიტეტი განიხილავს არსებულ შემთხვევას და ატარებს შესაბამის ღონისძიებას:

- სტუდენტის შემთხვევაში - საყვედურის გამოცხადება და მიღებული შეფასების განულება - თუ ეს პირველი შემთხვევაა, ხოლო განმეორებით შემთხვევაში - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შუამდგომლობის აღძვრა აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის წინაშე;
- პერსონალის შემთხვევაში - საყვედურის გამოცხადება, თუ ეს პლაგიატის პირველი შემთხვევაა, ხოლო განმეორებით შემთხვევაში - შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შუამდგომლობის აღძვრა აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის წინაშე.

თავი VII

24. დასკვნითი დებულებანი

კოდექსი ძალაში შედის უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ დამტკიცებისთანავე და მას არ გააჩნია უკუქცევითი ძალა.

დამოწმების ნიმუშები¹:

სტანდარტები ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის

წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

- ავტორის სახელი და გვარი,
- სათაური
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი,
- წელი
- გვერდი
- **ნიმუში**

1. არნოლდ გეგეჰორი, კავკასია - ბუნების საგანძური (თბილისი: მერიდიანი, 2007), 27.

2. Philip Ball, Bright Earth: Art and the Invention of Color (New York: Farrar, Straus and Giroux, 2001), 140.

დამოწმება ტექსტში

(გვარი წელი, გვერდი)

(Gates 2004, 6-18)

(ჩიქობავა1965)

თუ ვიმოწმებთ წიგნს, რომელსაც ჰყავს ორი ან სამი ავტორი

- პირველი ავტორის გვარი, სახელი,
- მეორე ავტორის სახელი, გვარი და მესამე ავტორის სახელი გვარი.
- წელი.
- სათაური.
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი.

ნიმუში:

1. კეკელიძე, კორნელი და ალექსანდრე ბარამიძე. ძველიქართულილიტერატურისისტორია: V-XVIII სს.თბილისი: თბილისისუნივერსიტეტისგამომცემლობა, 1987.

2. Appleby, Joyce, Lynn Hunt, and Margaret Jacob. Telling the truth about history. New York: W.W. Norton & Company, 1994.

დამოწმება ტექსტში:

(გვარი და გვარი წელი, გვერდი)

(კეკელიძე და ბარამიძე 1987, 45);

(Appleby, Hunt and Jacob 2005)

სამეცნიერო ჟურნალების სტატია

დამოწმება ბიბლიოგრაფიაში:

- ავტორის გვარი, სახელი.
- ჟურნალის გამოსვლის წელი.
- სტატიის სათაური.
- ჟურნალის სახელწოდება,
- № ნომერი:
- გვერდები.

ნიმუში

1. ბუთხუზი, ნათია.2016. ლოგისტიკური პროცესების აუტოსორსინგი. თბილისის დია სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული #7:71-74

¹ ციტირებისა და ბიბლიოგრაფიების შედგენის დეტალური წესები შეგიძლიათ იხილოთ ილიას უნივერსიტეტის აკადემიური სტილის სახელმძღვანელოში

2. eattie, J.M. 1974. The pattern of crime in England, 1660-1800. Past and Present, no. 62:47-95.

დამოწმება ტექსტში:

(გვარი წელი, გვერდი)

(ბუთხუზი 2016, 71)

(Beattie 1974, 90)

ინტერნეტში განთავსებული მასალა

ბიბლიოგრაფიაში:

- გვარი, სახელი.
- წელი.
- სათაური.
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი. URL მისამართი
- (წვდომის თარიღი)

ნიმუში:

ჯორჯაძე არჩილ 2010. წერილები. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა,

<https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/samsaxurebi-da-servisebi-7/gamomcemloba1/cignebi/archil-djordjadze-werilebi.page>

(1.05.2016)

Samora, Julian and Patricia Vandel Simon. A History of the Mexican-American People. Rev. ed. East Lansing, MI: Julian Samora Research Institute, Michigan State University, 2000.

<http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six> (19.12.2005).

ტექსტში:

(გვარი წელი)

(Samora and Simon 2000).

(ჯორჯაძე 2010)

სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- მთავრობის (ქვეყნის, ქალაქის, ოლქის ან სხვა ერთეულის) და ხელისუფლების ორგანოს (საკანონმდებლო ორგანოს, აღმასრულებელი დეპარტამენტის, სასამართლო ბიუროს, საბჭოს, კომისიის ან კომიტეტის) სახელწოდება, რომელმაც გამოსცა დოკუმენტი;
- დოკუმენტის ან კრებულის სათაური, თუ ასეთი არსებობს (როგორც წესი, დახრილი შრიფტით);
- ავტორის, რედაქტორის ან შემდგენლის სახელი და გვარი, თუ მითითებულია;
- ანგარიშის ნომერი ან სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია;
- მონაცემები პუბლიკაციის შესახებ: გამოცემის ადგილი და გამომცემლის სახელწოდება (აშშ-ის ფედერალური მთავრობის მიერ გამოცემული აქ განხილული ყველა პუბლიკაციისთვის გამოიყენეთ აღნიშვნები Washington, DC, და Government Printing Office), გამოქვეყნების თარიღი;
- გვერდის ნომრები ან ადგილის დასადგენი სხვა მონაცემები, თუ საჭიროა

ნიმუში

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მსესხებელზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების განმარტების თაობაზე* №136/04 . თბილისი 2017 წლის 26 სექტემბერი

Food Security Act of 1985, HR 2100, 99th Cong., 1st sess., Congressional Record 131, no. 132, daily ed. (October 8, 1985): H 8353-8486.

ტექსტში,

1. (*საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მსესხებელზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების განმარტების თაობაზე 2017, 14*)
2. (Food Security Act of 1985, Record 131, no. 132)